საკრებულოს წევრის ვაჟა ოთარაშვილის
საქმიანობის ანგარიში

2020 წლის 1 ნოებრიდან 2021 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით, დავესწარი საკრებულოს 22 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 22 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 111 დადგენილება და 547 განკარგულება.

კანონმდებლობის შესაბამისად, გახლავართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის და აგრეთვე, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში დავესწარი განათლებისა და კულტურის კომისიის 13 სხდომას, სადაც მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში.

აგრეთვე, დავესწარი საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 22 სხდომას, სადაც მონაწილეობა მივიღე 310 საკითხის განხილვაში.